ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

12ოქტომბერი 2015 წელი

დადგენილება # 37

56-00

დ.ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 04 მაისის N20 დადგენილებაში

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ

და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის

წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 04 მაისის N20 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ " (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ.გვერდი 07/05/2015)

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ა) ოპერაციის ან სამედიცინო მომსახურებისათვის _ 700 ლარამდე".

2. შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით და მიიღოს

გადაწყვეტილება დახმარების გაწევაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც

რეგისტრირებულნი არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჭიროებენ

სამედიცინო ან ფინანსურ დახმარებას. გამონაკლის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ბენეფიციარისათვის დახმარების ორმაგი ოდენობით გაცემის შესახებ, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა სიცოცხლისათვის

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ინგა მაღრაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება # 38

12ოქტომბერი 2015 წელი

56-00

დ.ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ „ ცვლილების შეტანის თაობაზე ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 17.07.2014).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების პირველ მუხლში და თანამდებობათა ჩამონათვალი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,, მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა

#	თანამდებობათა ჩამონთვალი	საშტატო რიცხოვნება	შენიშვნა
1	მთავარი საჯარო თანამდებობა მუნიციპალიტეტის გამგებელი	1	
2	მთავარი საჯარო თანამდებობა მუნიციპალიტეტის გამგებელის პირველი მოადგილე	1	
3	მთავარი საჯარო თანამდებობა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე	2	
ადმინისტრაციული სამსახური			
4	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურს უფროსი	1	
5	უფროსი საჯარო თანამდებობა გამგებლის თანაშემწე	1	
6	უფროსი საჯარო თანამდებობა გამგებლის მრჩეველი გენდერულ საკითხებში	1	

7	უფროსი საჯარო თანამდებობა გამგებლის მრჩეველი სოფლის მეურნეობის საკითხებში	1	
8	უფროსი საჯარო თანამდებობა იურიდიული განყოფილების უფროსი	1	
9	უფროსი საჯარო თანამდებობა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	
10	უფროსი საჯარო თანამდებობა წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი	1	
11	უფროსი საჯარო თანამდებობა გამგებლის წარმომადგენელი	20	
12	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	12	
13	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	7	
14	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	1	
15	უმცროსი საჯარო თანამდებობა ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი	20	
	საფინანსო საბიუჯეტო სამსახური		
16	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
17	უფროსი საჯარო თანამდებობა საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი	1	
18	უფროსი საჯარო თანამდებობა ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი	1	
19	უფროსი საჯარო თანამდებობა სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1	

20	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	2	
21	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	3	
22	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	2	
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური			
23	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
24	უფროსი საჯარო თანამდებობამუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსი	1	
25	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	1	
26	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	2	
27	უმცროსი საჯარო თანამდებობა სპეციალისტი	2	
ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური			
28	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
29	უფროსი საჯარო თანამდებობა ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი	1	
30	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	2	
31	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	1	
32	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	1	
33	უმცროსი საჯარო თანამდებობა სპეციალისტი	1	
ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახური			
34	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
35	უფროსი საჯარო თანამდებობა არქიტექტურულ სამშენებლო განყოფილების უფროსი	1	
36	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	1	

37	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	1	
38	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	1	
39	უმცროსი საჯარო თანამდებობა სპეციალისტი	1	
კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახური			
40	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
41	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	2	
42	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	3	
43	უმცროსი საჯარო თანამდებობა სპეციალისტი	1	
ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
44	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
45	უფროსი საჯარო თანამდებობა სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი	1	
46	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	5	
47	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	1	
48	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	1 1	
სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური			
49	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	
50	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	4	
51	უმცროსი საჯარო თანამდებობა წამყვანი სპეციალისტი	1	
52	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	4	
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური			
53	წამყვანი საჯარო თანამდებობა სამსახურის უფროსი	1	

54	უფროსი საჯარო თანამდებობა მთავარი სპეციალისტი	1	
55	უმცროსი საჯარო თანამდებობაწამყვანი სპეციალისტი	1	
56	უმცროსი საჯარო თანამდებობა უფროსი სპეციალისტი	1	
	ს უ ლ	132	

მუხლი 2დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება # 39

12ოქტომბერი 2015 წელი

56-00

დ.ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61- ე მუხლის მეორე პუნქტისა და 88-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს

წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე

დანართი№1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ

მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი

მუხლი 1.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობის საკითხებს.

მუხლი 2.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, საჯარო შეხვედრები მოაწყონ ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 3.

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტი, აპარატში რეგისტრაციიდან, საკრებულოს აპარატის მიერ, ხოლო გამგებლის ანგარიშის ტექსტი, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურში რეგისტრაციიდან, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე WWW. kharagauli.ge და ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" მეშვეობით ან მუნიციპალიტეტში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით 10 დღის ვადაში

2.მუნიციპალიტეტის გამგებლის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო შეხვედრის შესახებ ცნობა ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათი) საკრებულოს აპარატის მიერ ხოლო გამგებლის ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათი გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე WWW. kharagauli.ge და ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" მეშვეობით ან მუნიციპალიტეტში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით შეხვედრის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.

მუხლი 4.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები საჯარო შეხვედრაზე ანგარიშს წარადგენენ წერილობითი სახით. ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და მედიის წარმომადგენლების მოწვევა.

მუხლი 5.

საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის სხდომის მიმდინარეობისას ფორმდება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის დროს ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 7.

საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, რასაც ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 8.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს,შეუზღუდავად დაესწროს გამართულ საჯარო განგარიშების განხილვას, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

საკრებულოს თავმჯდომარე **ინგა მაღრაძე**